# ჩვენი გზა

№ 27

თფილისი

1907

კვირა, 7 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონა პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში—ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 27 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 27



ამ ნომერთან ერთად ეგზავნებათ გაზეთის მკითხველებს **ნეიშელერის გალოშების განცხადება**. გაზეთის მყიდველებს ვსთხოვთ გაზეთთან ერთად მოსთხოვონ გამყიდველებს ხსენებული განცხადება.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენი გზა**

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ **„ჩვენი გზა“**-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

**ექიმი**

**ივ. გომართელი**

პირველი ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

**კბილის ექიმი**

**სამსონ ვაშაყმაძე**

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკის სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

ნიკოლოზ ზურაბის-ძე **ელიავა**

**გადავიდა ოლგინის ქუჩაზე № 34.** (10—)10

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს და წრთვნის მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

**ადრესი:** უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

**გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა **საშუალო და დაბალი** სასწავლებლისათვის. **ამზადებს** აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

**ადრესი:** გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

ადიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

**სკოლებში შესასწავლი**

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს უდით თოთხმეტი შაური**. მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (0—6—7)

**ისყიდება სახლი** ქალაქის შუაგულში, ბანკის სახლები. ბანკის ვალია 750 მანეთი, მყიდველმა კიდევ უნდა გადაიხადოს 600 მ. ვ.ნქის შესახვევი, № 3. (1—ფ—1)


## მეტი სინათლე!

„კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდა“
ხალხური.

### II

„სოციალისტმა, რომ თავის „კლასიურ ცნობიერებაში“ იპოვოს გრძნობა სიძულვილისა ძველ პოლიტიკურ წესწყობილებისადმი, მან ეს უკანასკნელი გონების თვალით უნდა შეაკავშიროს ძველ ეკონომიურ წეს-წყობილებასთან. იგი იბრძვის არა უბრალოთ „თვითმპყრობელობის“ წინააღმდეგ, არამედ „თვითმპყრობელ-ბატონ-ყმურ რეჟიმის წინააღმდეგ. და კადეტიც სოციალიზმის ჩვენმა დოქტრინიორმა ჯერ უნდა წარმოიდგინოს როგორც განსაზღვრული ეკონომიური და სოციალური კატეგორია,—და მხოლოდ შემდეგ ამისა მას შეუძლია გაარკვიოს თავისი ურთიერთობა კადეტისადმი“. ასე სწერს პროფესორი მილიუკოვი. მას სასაცილოთ არ ყოფნის ის გარემოება, რომ სოციალდემოკრატია მთელ თავის საქმიანობას წინ უძღვარებს ღრმა სოციალურ ანალიზს, რომ იგი მთელ თავის მოქმედებას ამყარებს საზოგადოებრივ ცხოვრების ობიექტიურ (ნამდვილ) მსვლელობის შესწავლაზე.

ყოველ შემთხვევაში, პროფესორს ზედმეტათ მიაჩნია „სოციალურ და ეკონომიურ კატეგორიაზე“ ლაპარაკი დღეს, როცა საქმე ასე მარტივი არის: ძველი რეჟიმი უნდა დაინგრეს! განა ძველ პოლიტიკურ წეს-წყობილებისადმი ზიზღსა და სიძულვილს კიდევ ძებნა თუ დასაბუთება ესაჭიროება?! ყველა ის, ვისაც კი დღეს რუსეთის იმპერიაში ზრდა-განვითარების უნარი მოეპოვება, ყველა, რასაც და ვისაც კი სასიცოცხლო ნიშან-წყალი შერჩენია, ყველა ისწრაფვის ძველი რეჟიმის განადგურებას. აქეთკენ არის ამოძრავებული დიადი განმათავისუფლებელი მთელი არმია, რომელსაც მეთაურობს და ხელმძღვანელობს ორი დიდი პოლიტიკური პარტია—„სახალხო თავისუფლების პარტია“ (კადეტები) მარჯვნივ, სოციალდემოკრატია მარცხნივ. და როცა საერთო უახლოესი მიზანი, საერთოა მტერი, რატომ ეს ორი დასახელებული „მთავარ-სარდალი“ ერთმანეთს არ მისცემენ სამეგობრო ხელს? მათ შორის რათ უნდა ჰქონდეს ადგილი მტრულ განწყობილებას, დავას, უნდობლობას? უფრო მეტიც, რატომ სოციალდემოკრატია ბურთსა და მოედანს არ დაუთმობს კადეტებს, სულ ერთია, ხვალ, ძველი რეჟიმის ნანგრევებზე ვერ დამყარდება სოციალისტური წესწყობილება,—ამას აღიარებს არა მარტო პლეხანოვი,—კადეტებს კი ასე მრავლათ მოეპოვებათ საკანონმდებლო საქმეში დახელოვნებული სწავლულები, პროფესორები, იურისტები?

ვუპასუხოთ.

ძველი რეჟიმი უნდა დაინგრეს! კარგი და პატიოსანი! მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა უნდა დამყარდეს ძველი რეჟიმის ნანგრევებზე, თუ ამ ნანგრევებისაგან განწმენდილ ნიადაგზე?—„კონსტიტუცია“! უეჭველია ერთხმათ გვიპასუხებს მთელი ოპოზიცია. კი, მაგრამ, „კონსტიტუცია“ ერთობ კაუჩუკური, რეზინის მაგვარი ცნებაა. შეიძლება „საკონსტიტუციო სიკეთენი“ თანაბრათ იქნას განაწილებული ყველა მოქალაქეთა შორის, შეიძლება აგრეთვე, რომ მუშა ხალხს არგუნონ მხოლოდ ნამცეცები და ლომის წილადობა კი დაინარჩუნოს ბურჟუაზიამ. ასე მაგ. ბელგიაში კონსტიტუცია, და საკმაოთ ლიბერალური კონსტიტუცია შემოღებულ იქნა 1831 წ. და მუშა ხალხმა კი მასში წილი ჩაიდო, პოლიტიკური უფლება—ისიც შეზღუდული—მოიპოვა მხოლოდ 1886 წელს. ამ უფლების მისაღებათაც მას დასჭირდა არა ერთი და ორი ამოძრავება, ამბოხება, საზოგადო გაფიცვა და სხ. ერთი სიტყვით, მეტი მწვავე და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც დღესაც არ გათავებულა.

კონსტიტუციის განხორციელებაში, ახალ სახელმწიფო წყობილების, ახალ იურიდიულ ნორმების დამყარების საქმეში თითოეული პარტია ისე ირჯება, როგორც მას უკარნახებს სოციალური და ეკონომიური ინტერესები იმ კლასისა, რომელსაც იგი წარმოადგენს. ბურჟუაზიის იდეოლოგები ირწმუნებიან, რომ იურიდიული ნორმები, მოქალაქობრივი და და პოლიტიკური უფლებანი თავისთავათ წარმოადგენენ საპატიო ღირებულებათ, ზოგჯერ ძალიან ძვირფას და სანეტარო განძს. ჩვენთვის კი უფლებანი არავითარ განყენებულ ღირებულებას არ შეიცავენ აბსტრაქტული (განყენებულათ აღებული) უფლება ფუჭი სიტყვაა. ნამდვილათაც ყოველ არსებულ იურიდიულ ნორმაში უეჭველათ გამოხვეულია ესა თუ ის სოციალ-ეკონომიური შინაარსი, იგი უეჭველათ ემსახურება რაიმე საზოგადოებრივ მოთხოვნას. ეს კარგათ იციან ბურჟუაზიის იდეოლოგებმაც, მაგრამ ისინი განზრახ ხელს აფარებენ ხოლმე შინაარსს და მიგვითითებენ ფორმაზე, მის სხვადასხვა გვარ გამოხატულობაზე. ეს მათთვის სარფაა. მუშა ხალხის იდეოლოგებს არ შეუძლიანთ დაივიწყონ ძველი ეკონომიური წყობილება, საცა ლაპარაკია ძველ პოლიტიკურ წყობილებაზე, რადგან ეს უკანასკნელი იწვევდა და იწვევს მუშა ხალხის ერთობ მწვავე სოციალურ მჩაგვრელობას, უზომო ეკონომიურ სიღატაკეს, შიმშილობას და ათას ვაებას. ხოლო ბურჟუაზიას იგივე ძველი პოლიტიკური წყობილება მარტო ხელს უშლიდა სავსებით გაენაღდებინა მოგება, მისცემოდა ფუფუნება-სიამოვნებას, ერთის სიტყვით, სავსებით ესარგებლნა სოციალური უპირატესობით. მაგრამ რუსეთის ბურჟუაზიას მაინც ჯერ კიდევ ბევრი რამ სამართლიანი შეეძლო ეთქვა პოლიტიკის და ეკონომიკის ურთიერთობაზე. რუსეთის ბურჟუაზიას ჯერ კიდევ არ მიუღწევია სიმწიფის ასაკისთვის, იმისი ზრდა-განვითარება ჯერ კიდევ უეჭველათ მოასწავებს ხალხის საერთო სიდუხჭირის შემსუბუქებას, მაშასადამე, რუსეთის ბურჟუაზიას საბუთიანათ შეეძლო ელაპარაკნა საქვეყნო საქმეზე, სამართლიანობაზე, მაგრამ ის მაინც იძულებულია გაურბოდეს „სოციალურ-ეკონომიურ“ კატეგორიების ხსენებას. რუსეთის ბურჟუაზიას ჯერ არ მიუღწევია სოციალ-ეკონომიურ სიწიფისათვის, მარა პსიხოლოგიურათ ის უკვე რამოდენადმე მაინც სიბერის ასაკშია გადასული. აქ მუშაობს ევროპის ბურჟუაზიის გამოცდილება. დღეს რუსეთის ბურჟუაზიას იგივე პოლიტიკური ვნებები უღიტინებენ, რაიც მაგ. საფრანგეთის ბურჟუაზიას მე-18 საუკუნის დამლევს აიძულებდა მუშა ხალხი აემოძრავებინა ბარიკადებისაკენ, მაგრამ იგი (რუს. ბურჟ.) იძულებულია ეს ვნებები დათრგუნოს, გულში ჩაიკლას, რადგან ეშინიან „ორსულობისა“, კარგათ იცის, რომ ხსენებულ ვნებების ბოლომდის დაკმაყოფილებას მოსდევს ისეთი საშინელი ნაყოფი, როგორიც არის სოციალიზმი; დემოკრატიის სრული გამარჯვება მოასწავებს სოციალდემოკრატიის საბოლოო გამარჯვებას.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ერიდებიან სოციალურ და ეკონომიურ კატეგორიების“ ხსენებას, რათა უფრო ადვილათ მოურიგდენ ამოძრავებულ მუშა ხალხს და თუ შეიძლება, სრულიადაც მოატყუონ იგი და ცარიელზე დასვან. თუ ჩვენ იქით გადავდებდით მუშა ხალხის ეკონომიურ და სოციალურ ინტერესებს, მაშინ, ცხადია, ადვილათ იქნებოდა მიღებული მაგ. ორ-პალატიანი საკანონმდებლო სისტემა, შეზღუდული, ცენზიანი საარჩევნო უფლება და სხ. მაშინ ადვილათ შეიძლებოდა ხალხი დათანხმებულიყო და სრულიად შერიგებოდა თვით დღევანდელ პოლიტიკურ წესწყობილებას.

მართალია, დღეს კადეტები ითხოვენ საყოველთაო თანასწორ საარჩევნო უფლებას, ზოგი მათგანი მომხრეა ბევრ სხვა დემოკრატიულ მოთხოვნების, მარა ეს მხოლოდ სიტყვებია; როცა სახ. სათათბიროში სტოლიპინი, თუ მისი ფეხი მკაცრათ დაუტატანებს კადეტებს, ესენი ადვილათ დასჯერდებიან ქონებრივ თუ განათლების ცენზიან უფლებას და ეს მათთვის უმჯობესიც იქნება. ბურჟუაზიას ქონებაცა აქვს და დიპლომიც. პროლეტარიატს არც ერთი აქვს, არც მეორე. იგი სახელმწიფო მართვა-გამგეობის ნამდვილი პირდაპირი მონაწილე ხდება მარტო მაშინ, როცა უფლებები ვრცელდება ყველა ადამიანზე განურჩევლათ ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობისა. მუშა ხალხი ყველაზე უფრო მეტი დაჩაგრული კლასია და ამიტომ მას სრული განთავისუფლება ეღირსება მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრებაში მოისპობა ყოველგვარი მჩაგვრელობა. აი ამიტომაც, მუშა ხალხი და მისი ხელმძღვანელი პარტია სოციალდემოკრატია არის ერთად-ერთი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ბოლომდის მხნეთ, ენერგიულათ და თავ-გადადებული იბრძვის დემოკრატიისა და თავისუფლების განსახორციელებლათ? აი, სწორეთ ამიტამ პლეხანოვი მთელ სოც.-დემ. პარტიასთან ერთად უარყოფს მილიუკოვისაგან გამოწვდილ ხელს, პროტესტს აცხადებს კადეტებთან მეგობრობაზე და დაბეჯითებით ეუბნება: ხალხს **„აირჩიეთ სოციალდემოკრატები!“...**

**შემდეგ ნომერში დაბეჭდილი იქნება ნ. ჟ—ას წერილი ი. ჭავჭავაძის სიკვდილის გამო.**

## სადეპუტატო კანდიდატი

—

დასრულდა არჩევნების პირველი და მეორე სტადია ჩვენში. ახლო მომავალში შეიკრიბებიან „ვიბორშჩიკები“ და თავიანთ შორიდან ერთ-ერთს გაგზავნიან დეპუტატათ. არც ერთი პარტიას თფილისის გუბერნიაში ჯერ ყავს აბსოლიუტური უმრავლესობა „ვიბორშჩიკების“, ამიტომ ძნელი გამოსაცნობია, ვინ იქნება არჩეული. თავის თავათ ამ კითხვას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უეჭველია, რომ ჩვენებური დეპუტატი ოპოზიციის მომხრე იქნება, ეს ერთი, და მეორეც თვით არჩევნების საინტერესო მხარე უკვე შესრულებულია. გამოირკვა ვისკენ არის ხალხის მასსა. გამოირკვა ისიც, თუ ვის თვლის ხალხი თავის მოამაგეთ, რომელ პარტიას ცნობს იგი თავის ხელმძღვანელათ მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ ბრძოლაში.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც მეტი არ იქნება შევჩერდეთ მომავალ კანდიდატზე. ჯერ-ჯერობით ბურჟუაზიულ დემოკრატიისაგან, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მოდემოკრატო ბურჟუაზიისაგან, წამოყენებულია ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კანდიდატურა. მის მოპირდაპირეთ გამოვა პროლეტარიატის და გლეხების კანდიდატი—სოციალდემოკრატი.

სოციალდემოკრატი დეპუტატი რაც იქნება, ყველამ იცის, თუ კი ასეთი იქნა არჩეული მიუხედავათ მისი პიროვნებისა და ამიტომ აღარ შევჩერდებით ამაზე.

უფრო საინტერესოა, რა იქნება და ვის ინტერესებს წარმოადგენს ბ. ანდრონიკაშვილი, თუ იგი იქნა არჩეული.

„ვიბორშჩიკათ“ ბ. ანდრონიკაშვილი არჩეულია მიწათ-მფლობელთა კურიისაგან, ხელობით არის ვექილი, ერთი საუკეთესო პოლიტიკურ დამცველთაგანი რუსეთის ადვოკატურაში. აი უცილო ცნობები მის შესახებ. მეტი არც ჩვენ და არც მისმა ამომრჩევლებმა არაფერი ვიცით მის შესახებ. მისი პოლიტიკური და სოციალური მსოფლ-მხედველობა ჩვენთვის სრულიად უცნობია, თუ არ დავკმაყოფილდებით იმითი, რომ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არ არის სოციალდემოკრატი, რადგან სამივე არჩევნების დროს იგი გამოყავდათ სოციალ-დემოკრატ კანდიდატების წინააღმდეგ. მაგრამ ეს უარყოფითი დახასიათება ვერავის დააკმაყოფილებს საზოგადოებაში კი სულ სხვა და სხვა დახასიათება გვესმის ამ მოსალოდნელი დეპუტატისა. ჩვენ და სამწუხაროთ თვით ბ. ანდრონიკაშვილი არ ცდილობს გამოარკვიოს თავისი ფიზიონომია და ამჯობინებს საინტერესო უცნობათ დარჩეს. ჩვენ არ ვეთანხმებით ასეთ ტაქტიკას და გვინდა ხელი შეუწყოთ ამრჩევლებს ერთ-ერთი კანდიდატის დაფასებაში. ამ მოსაზრებით ვწვდით იმ ცნობებს, რომელნიც ხელთა გვაქვს.

პირველი დუმის არჩევნებში ბ. ანდრონიკაშვილი ჩვენში წამოყენებული იყო სოციალისტ-ფედერალისტების კანდიდატათ, მაგრამ არ იქნა არჩეული. მიუხედავათ ამისა, როგორც პეტერბურგში მცხოვრები გამოჩენილი ახალგაზდა იურისტი, იგი დაუახლოვდა დუმის მოღვაწეობას და შედიოდა შრომის ჯგუფის იურიდიულ კომისიაში. მეორე დუმის არჩევნებში კვლავ სოციალ.-ფედერალისტების კანდიდატათ გამოვიდა, კვლავ არ იქნა არჩეული და შრომობდა სახალხო-სოციალისტების კომისიებში, თუმცა ამ დროს დუმაში უკვე იყო სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია, რომელიც, ჩვენი ფედერალისტების თქმით, მათი პარტიისაგან არაფრით განსხვავდება. იყო აგრეთვე დამოუკიდებელი შრომის ჯგუფიც. მესამე დუმას ფედერალისტებმა „ბოიკოტი“ გამოუცხადეს და ამიტომ არ იყო მოსალოდნელი ანდრონიკაშვილის კანდიდატურა, მაგრამ იგი მაინც გამოჩნდა, ახლა უკეთესის შედეგით მისთვის, და არჩეულ იქნა „ვიბორშჩიკათ“. ამან რასაკვირველია, ყველა დაგვაინტერესა. გვინდოდა გაგვეგო, რით აიხსნებოდა ასეთი უდისციპლინობა მისი

მხრით და გავიგეთ კიდეც. თურმე ბ-ნი ანდრონიკაშვილი იმ თავითვე უპარტიოთ თვლიდა თავის თავს, არც ერთ პარტიაში არ შედიოდა, მაგრამ რადგან ჩვენი ფედერალისტები აწოდებდენ დეპუტატობას, ისიც თანხმდებოდა, თუმცა ორივეჯერ უშედეგოთ. ახლა, როგორც მას განუმარტავს თფილისელ მცონარე ინტელიგენტებისათვის, რომელნიც თფილისის არჩევნებში დემოკრატების სახელით გამოვიდენ, იგი ყველაზე უფრო ახლო დგას კადეტების პარტიასთან; საუკეთესოთაც მიაჩნია მათი ტაქტიკა და, თუ დეპუტატობა ხვდა, მათ გაყვება ფეხდაფეხ. ხსენებულ დემოკრატებს, როგორც დანამდვილებით ვიცით, ყველაზე უფრო საქართველოს ავტონომიის საკითხი აინტერესებდათ, მაგრამ ვერც ამაზე მიუღიათ ანდრონიკაშვილისაგან გადაჭრილი პასუხი.

ასეთია ბ-ნ ანდრონიკაშვილი პოლიტიკური ფიზიონომია. იგი საინტერესოა ერთი მხრით სოციალ-ფედერალისტების დასახასიათებლათ, რომელნიც უპარტიო ხალხში ეძებენ თავიანთ კანდიდატებს, მეორე მხრით ყოველივე ეს უნდა ასწონ-დასწონონ არჩევნების დროს ამომრჩევლებმა და ისე მისცენ თავისი ხმა. მიიღონ მხედველობაში ამ კანდიდატის ბუნების მოძრავი ხასიათი, რომელსაც მუდმივი გამოურკვევლობა, მაგრამ მასთანვე მარჯვნივი მიდრეკილება დასჩემებია.

ამით ვათავებთ ჩვენი შენიშვნის ობიექტიურ ნაწილს და ნებას ვაძლევ ჩვენ თავს ჩვენი აზრიც გამოვთქვათ ამ კანდიდატურის შესახებ.

საზოგადოთ, უპარტიო ადამიანები ყოველთვის ნაკლებ საიმედონი, არიან ამომრჩევლებისათვის, ვიდრე პარტიული. პირველ შემთხვევაში თქვენ საქმე გაქვთ კერძო პირთან, მის ვნებათა ღელვასთან და ვერასოდეს ვერ იტყვით, საით იზამს პირს თქვენი არჩეული. მეორეში კი—პოლიტიკურ პარტიასთან გაქვთ საქმე, რომელიც, რასაკვირველია, წინდახედულებისა და ტაქტიკის მეტ გარანტიას იძლევა და წინდაწინვე იცით, რა მდგომარეობაში როგორ მოიქცევა იგი. ამ მხრით ბ. ანდრონიკაშვილი, როგორც უპარტიო, გამოუსადეგარია. ხოლო თუ იგი კადეტია, მისი არჩევა სასურველია მხოლოდ იმათთვის, ვინც კადეტებივით ძველ რეჟიმთან მორიგების გუნებაზე დგას და ვინც კადეტების ლიდერ მილიუკოვივით მზათ არის მემარცხენენი თავის მტრებათ გამოაცხადოს. თუ ბ. ანდრონიკაშვილი ავტონომისტია, და მეტი არაფერი მაშინ იგი საინტერესოა მხოლოდ ქართველი მცონარე ინტელიგენციისათვის. ჩვენი მასსა კი, გლეხობა და მუშები, მას ვერ იცნობს თავის წარმომადგენლათ. და თუ იგი ამ გზას დაადგა, თუ მან ქართველ შოვინისტების წარმომადგენლობა იკისრა, მაშინ, რასაკვირველია, არავითარი კავშირი არ ექნება მას ჩვენი ქვეყნის სხვა ერებთან.

ამ რიგათ, დანამდვილებით ჩვენ ვიცით ბ. ანდრონიკაშვილის შესახებ მხოლოდ ის, რომ იგი იქნება სოციალდემოკრატიის წინააღმდეგი. მაგრამ რა იქნება სხვა მხრივ და სხვა კითხვებში, არავინ იცის. თვით მან კი უნდა იცოდეს და ბეჯითად დაიხსომოს, რომ იგი არ არის ჩვენი მასსის, ქართველ ხალხის სულის კვეთების გამომხატველი და, თუ ბედმა არგუნოს დეპუტატობა, ფრთხილათ უნდა მოექცეს ქართველი ერის სახელს, რომელიც მის პოლიტიკურ მეგობრებისაგან ძლიერ შორსა დგას.

უხმო მოქალაქე.

# ახალი ამბები

**არჩევნების გამო**. ერთ ჯგუფს რუსთა კურიის ამომრჩევლებისას თხოვნით მიუმართავს კავკასიის ნამესტნიკისათვის გადადებულ იქნას არჩევნები რუსთა კურიის დეპუტატისა ამიერ კავკასიაში, რადგანაც მოსალოდნელია ახალ არჩევნების შემდეგ „პერებალატიროვკა“ მოხდეს, რისთვისაც 14 ოქტომბერს ვერ მოესწრება დეპუტატის არჩევა.

როგორც წარსულს 30 სექტემბრის არჩევნებზე რუსთა კურიაში, დღესაც 7 ოქტომბრის ახლათ დანიშნულ არჩევნებში ყოველივე პარტია გამოდის დამოუკიდებლათ. განზრახული შეერთება „პატრიოტებსა“ და „რუსთა კავშირის“ შორის არ მოხდა, რადგანაც პატრიოტებმა არ მიიღეს რუსთა კავშირის წინადადებით კანდიდატების სიაში შეეტანათ რამდენიმე ვიბორშჩიკი „კავშირისა“.

✦ **მატარებლების დაჯახება**. როგორც გვატყობინებენ, 6 სექტემბერს, სადგურ კამარლოზე (ბაქოს გზაზე) სახალხო და საქონლის მატარებელი ერთმანეთს დასჯახებია. დაშავებულია სახალხო მატარებლის მემანქანე არეშიძე, საქონლის მატარებლის მემანქანე ბალაევი, კონდუქტორი სულაძე და 10 შავი მუშა. ლიანდაგი გაფუჭებულია 25 საჟენის მანძილზე.

✦ **ოსების სექციის წინადადება**. ოსების სექცია სახალხო უნივერსიტეტებისა წინადადებას აძლევს ხაზეინებს, ვისაც ჰყავს შეგირდები, გაანთავისუფლონ ხოლმე საღამოს 6—8 საათამდის, რათა უკანასკნელთ შეეძლოთ ლექციების მოსმენა და გონების განვითარება.

✦ **კომისიის წინადადება**. ნაძალადევის მიწების შემფასებელ კომისიას ქ. გამგეობისათვის წარუდგენია უკანასკნელი დადგენილება ფასის რაოდენობისა სამოსახლეო ადგილებზე და წინადადება მიუცია პირველ ქ. საბჭოს კრებაზე ეს კითხვა განხილულ იქმნას და დამტკიცებული საბჭოს მიერ ისე, როგორც ეს კომისიას აქვს განაწილებული.

✦ **კავშირის საბჭოს კრება**. თფილისის მოსამსახურეთა პირველი კონფერენციის შემდეგ მოხდა კავშირის საბჭოს კრება, საბჭომ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: არჩეულ იქნეს სხვა და სხვა ფუნქციონალური კომისიები: რომელთაც დაევალებათ მოაწყონ უმუშევართა ორგანიზაცია; გააკეთებს მოხსენებას კავშირის წევრებში, აფთიაქებში მოსამსახურე ჰურჭლის მრეცხავები შეუერთდენ არსებულ მოსამსახურეთა კავშირს და ბოლოს საბჭომ დაადგინა კავშირს ყავდეს რამოდენიმე პროპაგანდისტი, რომლებიც სისტემატიური მუშაობით წევრებში თვით შემეცნებას შეიტანენ, მასთან ევალებათ ამ პროპაგანდისტებმა იკისრონ დროებით კავშირის მდივნის როლიც.

✦ **ბოიკოტის გამოცხადება**. როგორც გადმოგვცემენ, ტილიპუჭურის ხაზეინისათვის ბოიკოტი გამოუცხადებიათ თავის მოსამსახურეებს.

✦ 11 ოქტომბერს მოხდება საბჭოს დარბაზში ქ. ახალი ხმოსნების პირველი სხდომა. თითოეული ხმოსნის დაფიცების შემდეგ განიხილავენ პირველათ კითხვას ქალაქის თავის არჩევის შესახებ: რომელ დღეს მოხდეს მისი არჩევა. 2) არჩევა ქ. მდივნისა, შემდეგ ითათბირებენ იმაზე, თუ როგორ მოხდეს სხვა და სხვა ქ. საქმეთა ფუნქციონალური კომისიების არჩევნები.

✦ **საღამოს კურსები**. 15 ოქტომბრიდან სახალხო უნივერსიტეტის სომხური სექცია სომხეთა ნერსესიან სემინარიაში გახსნის საზოგადო განათლების კურსებს სომხურ ენაზე; მეცადინეობა დაიწყება საღამოს 6—9-დის. ლექციებს ადგილობრივი ლექტორები წაიკითხავენ.

✦ **კრება**. დღეს, 7 ოქტომბერს, განოვის ქუჩაზე, დილის 10 საათზე მოხდება ნოქართა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

✦ 4 ოქტომბერს საღამოს 7 ს. არსენალის გზატკეცილზე პოლიციას აუყვანია უგრძობლათ დაცემული კაცის გვამი, რომელსაც დანა ჰქონია დაკრული მუცელში. პოლიციის მხრით მიღებულია ზომები დამნაშავის აღმოსაჩენათ.

✦ 4 ოქტომბერს საღამოს 10 ს. ბელინსკის ქუჩაზე № 8 სახლიდან თფილისის 1-ლ მომრიგებელ მოსამართლის განყოფილების ვოინილოვიჩისათვის მოუპარავთ ოთხი ქილა, ერბოთი სავსე 140 გირვანქა. ღირებული 70 მ.

✦ 5 ოქტომბერს საღამოს 6 ს. დესიმონოვის მოედანზე თფილისის მცხოვრებ სტეფანე საფაროვს, ჩხუბის დროს დანით დაუჭრია მარჯვენა გვერდში თავისი ძმა არტემა არუთინსკი; საფაროვი შეუპყრიათ.

✦ 5 ოქტომბერს საღამოს 8 ს. ეჩმიაძინის და სუფ. მინასის ქუჩის კუთხეში ვინმე არშაკას, რომლის გვარი არ იციან, რევოლვერის ტყვიით დაუჭრია ოგანეზ დალენიანცი. იმისათვის, რომ უკანასკნელს პირველისათვის წინადადება მიუცია შანტაჟისტობას თავი გაანებეო, არშაკის ვინაობის გამოსარკვევლათ და მის დასაპატიმრებლათ მიღებულია ზომები.

✦ 6 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, სომხის ბაზარში 7 შეიარაღებული უცნობნი შეცვივნულან არუთინოვის ვერცხლის მაღაზიაში, გაუტეხნიათ 44 მ. ფულათ და ნივთები ღირებული 2,500 მან. უცნობები მიმალულან.

✦ 4 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე, ტოციაურის ბაღში ვერაზე უქეიფნიათ ვასილ პილეცკის და მე-2 გიმნაზიის სამ მასწავლებლთ, შეზაჯხოშებულ პილეცკის რამდენჯერმე გაუსვრია რევოლვერი. გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ მას ქონია იარაღის ტარების ნებართვა. არავინ დაშავებულა.

# რუსეთის პრესა

## რას აბარებენ დეპუტატებს?

გაზ. „რეჩი“ სწერს:

„მთელი თავისუფლება, მთელი მიწები გამოუსვიდგვლათ! და თუ ნებით არ მოგვცემენ, მაშინ ავიღებთ „დუბინებს“ (კეტებს)“. ვაი, სად არის ეხლა ასეთი ადტკინებული ლაღადისი და ლამაზი „ჟესტები“ (ხელების შლა)... „ჩვენც თქვენთან ვიქნებით, დაგიფარავთ, მხარს დაგიჭერთ, იმედი გქონდეთ;“—ასე ისტუმრებდა ქვეყანა თავის არჩეულებს პირველ სახელმწიფო დუმაში. მესამე სახელმწიფო დუმაში იგი გზავნის მათ სულ სხვაგვარი „მანდატით“ (დავალებით): „გააკეთეთ როგორც იცით, მარა გააკეთეთ კი, რაც შეგიძლიათ“. ჩვენი ძალის იმედი კი ნუ გექნებათ არამედ თქვენსავე უნარზე დაემყარენით.“ აი, ჩვენის აზრით, ამას თუ არ ლაპარაკობენ, ამის ფიქრი და გრძნობა მაინც გატარებულია ამ მდუმარეთ, თითქოს უსანდომოთ მინდინარე არჩევნებში“.

ეს სტრიქონები მხოლოდ უბრალო და სრულ პოლიტიკურ სასოწარკვეთილების გამომხატველი იქნებოდა, იქ რომ ჩაქსოვილი არ იყოს სრულიად სხვა გვარი სულის კვეთება. უკანასკნელი ნათლათ მოსჩანს შემდეგი სტრიქონებიდან, რომელიც ზედ მოსდევს ზემოთ მოყვანილს:

„საქმის ამგვარათ დაყენება, როგორც ხედავთ, სრულიად ახალი და, არსებითათ, შეუდარებლივ, უფრო ნორმალურია“.

აქ გამოთქმულია მთელი ვინაობა კადეტებისა, რომელთაც უნდათ „სახალხო საქმე“ აკეთონ ხალხის გარეშე, მის დაუხმარებლივ და დაუკითხავათ. „რეჩი“ განმარტავს:

„ყველას შეუძლიან მსჯელობა იქონიოს იმაზე, რასაც უნდა ვესწრაფოდეთ, მარა რაც შეეხება სასურველის განსხორციელების საშუალებათ, ამაზე მსჯელობა კი შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც შესწევს უნარი (კურსივი „რეჩ“-ისაა) ჩვენ შევდივართ პრაქტიკულ პოლიტიკის სფერაში. პრაქტიკული პოლიტიკა არის ხელოვნება, რომელიც ყველასათვისი არ არი მისაწდომი. ამ ხელოვნებას თავის წესები აქვს, რაც შეითვისების მხოლოთ ვარჯიშობით და გამოცდილებით. მას, როგორც ყოველ ხელოვნებას, აქვს თავისი განსაკუთრებული ენა, თავისი განსაკუთრებული ხერხი (приемы)“.

ამ სტრიქონების იდუმალი აზრი ასეთია: ჩამოდექით ყველანი, მობრძანდება კადეტთა პარტია და თან მოაქვს მთელი ქვეყნის ბედნიერებაო. კადეტები ოსტატურათ აგორებენ კამათლებს, და იურიდიულ ჯამბაზობით უნდათ დაგვარწმუნონ, ვითომ მთელი ოპოზიციონური რუსეთი ვალდებულია სახელმწიფო დუმაში გზავნიდეს კადეტებს; და, რაც უფრო საყურადღებო, ვითომ სახალხო მოძრაობის ხანა გათავდა, ამიერიდან ხალხის მოძრაობა უკვე მავნებელი იქნება, ვინაიდან უკვე დაიწყო ხანა „პრაქტიკულ პოლიტიკისა“. მოკლეთ შევნიშნავთ, „პრაქტიკული პოლიტიკა“, ე. ი. კანონების წერა მართლა განსაკუთრებული ხელოვნებაა, ე. ი. ითხოვს სპეციალურ ცოდნას, მარა ეს ცოდნა არ შეადგენს კადეტების მონოპოლიას. გარდა ამისა კანონების წერა რომ შესაძლებელი გახდეს, მას წინ უნდა უძღოდეს კანონმდებლობის განსაზღვრული აზრი და მიმართულება, ეს კი სავსებით დამოკიდებულია ხალხის ძალღონის ვითარებაზე, ეს უფრო დიდათ მნიშვნელოვანი „ხელოვნება“ სავსებით ეკუთვნის ხალხის მასსას.

## პარტიების ცხოვრებიდან

**სოც.-დემ. პარტიის კანდიდატები**. პეტერბურგში დუმაში გასაგზავნათ ასახელებენ ნაფ. ყუქ. ნ. სოკოლოვს, ერთ პოპულიარულ ნოქარს და კიდევ ერთ გამოჩენილ სოც.-დემოკრატს. ამ მოკლე ხანში გამოქვეყნებული იქნება ყველა ამათი გვარები.

**ლატიშთა ს.-დ. პარტიის ცენტრ.** კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა რიგის კომიტეტის პროექტი ადგილობრივი და ბუნდის ორგანიზაციების შეერთების შესახებ. ამ გადაწყვეტილების ძალით ლატიშთა ყველა ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ ამ პროექტის განხორციელებას. იმავე კომიტეტმა გადაჭრით გაკიცხა და უარყო ბრძოლის ტერორისტული წესი. ეგრეთ წოდებულ „ტყის ძმათა“, ექსპროპრიატორთა, შეიარაღებულ აჯანყებაზე და მის ტეხნიკურ შემზადებაზე მეოცნებე-

## შემოდგომა

დაჭბერა ქარმა...
ჩიტმა დამფრთხალმა
ფრთა ფრთას შემოჰკრა, დაიწრიპინა;
უცხო ადგილს,
საამურ, თბილსა
მსწრაფლ გაეშურა, იქ პოვა ბინა.
დაჰქროდა ქარმა
მეტათ საზარ'ა,
და ახმაურდა ტყე, ზღვა მდუმარე...
შეწყდა სამთ ყდერა,
ბულბულის მღერა,
ზამთრისა სუსხმა მოიცო არე.
ნორჩი გაფითრდა
და აქვითინდა:
შია პაწიას, სცივა დედასა;
უცდის ის მამას,
დედა—მარჩენელ ქმარს,
და შესცქერიან ცივსა კერასა.
მტერი მაძღარი,
სხვისით დამტკბარი,
გალაღებული ეძლევა ლხენას;
ყანწის თრიალი,
„ტუშის“ გრიალი
ერთვის მაშვრალთა ოხვრა და კვნესას
ქარი ზუზუნებს,
დედა კრუსუნებს;
სცივა პაწიას, შია ობოლსა...
რადისდა მოვა,—
გაივლის გლოვა,—
ჩაგრული ნახავს სანატრელ დროსა?!.
ობოლი კვნესის,
დედას გულს ეკვრის,—
მტარვალი კი გრძნობს ბედნიერებას...
სისხლი დაიღვრის,
ეს დროც გაივლის
და მოვესწრებით ჩვენც ნეტარებას!

დ. მეჩონგურე

## ჯაშუში

### დრამა 4 მოქმედებათ.

(გაგრძელება, იხ. „ჩვენი გზა“ № 26).

მოქმედება მეორე.

**ვახტანგი**. მეორე საკითხი არის ჩვენი დელეგატების დაჭრა გიორგის მიერ, მაგრამ სანამ ამ კითხვას გავარჩევდეთ, მე მაქვს ერთი თხოვნა: ლევანი, გიორგის შვილი, ჩამოვიდა საზღვარ-გარეთიდან და თხოულობს პარტიაში შემოსვლას, თავდები მე ვარ. მე მას კარგათ ვიცნობ, ის სულით და გულით ნამდვილი სოციალდემოკრატია და იმუშავებს კიდეც, მწერლობის ნიჭიც აქვს და ეს ჩვენთვის ფრიად საჭიროა. კარგათ იცით, ხანდახან რამდენათ გვიჭირს ხოლმე საგიტაციო ფურცლების შედგენა.

**ილიკო**. ჯერ პირველი გავარჩიოთ, მერე მეორე, ერთი-მეორესთან ამ ორ კითხვას არაფერი კავშირი არა აქვს.

**ვახტანგი**. ჩემის აზრით, კავშირი აქვს და ამიტომ გთხოვთ, რომ ჯერ უკანასკნელი კითხვა გადავწყვიტოთ.

**რამდენიმე ხმა**. სულ ერთია გადავწყვიტოთ, მივიღოთ, თუ სანდოა.

**ლასა**. (ამაღლებული ხმით) სულ ერთი სრულიადაც არ არის, აქ ძალადობას აპირებენ ჩვენს სინიდისზე რაღაც ხრიკებით.

**ვახტანგი**. (გულმოსული) ამდენი ხანი თქვენთან ვმუშაობ და ჯერ არავითარი მიზეზი არ მომიცია, რომ შეურაცხყოფა მომაყენოთ; ამიტომ არავის ნებას არ ვაძლევ ჩემს პიროვნებას შეეხოს.

**ლასა**. (აღელვებული) ამხანაგებო! ლევანის მიღებას რომ გადაწყვეტთ, მერე გეტყვიან, რაკი შვილი ჩვენს წრეშია, მამასაც ვაპატიოთ ყველაფერიო. ამას მე ხრიკს ვუწოდებ: მაშ, რა არის, თუ არა ხრიკი? ჯერ პირველი კითხვა გადავწყვიტოთ, შემდეგ მეორე.

**ვახტანგი**. (გულმოსული თავს იკავებს) როგორც გინდოდეთ ისე გადაწყვიტეთ (კარანდაშით ქაღალდზე ფხაჭნის აღელვებული და ცალი ხელით თმას ისწორებს).

**ერთი მუშა**. ამხანაგებო! ჩვენი ხაზეინი თავზე დაგვაჯდა; ის არ გვაკმარა, რომ ტყავს გვაძრობს, ჩვენი მოთხოვნილებები თავზე გადაგვახია, დელეგატები კინაღამ დაგვიხოცა, თუ ეს ვაპატიეთ, სულ გაგვიტყდება სახელი და სხვებიც ასე მოექცევიან მუშებს. ნუ ვაპატიებთ, ნუ შევარჩენთ, ამხანაგებო, სისხლს.

**ლასა**. ამხანაგებო! ისეთი საზიზღრობა, რომელიც გიორგიმ ჩაიდინა, არსად არ მომხდარა, არც კი გაგონილა! მას შეეძლო ჩვენი მოთხოვნილებანი არ მიეღო, მაგრამ ეს არ იკმარა. წინდაწინვე პოლიციელები კარებს უკან დამალა, ჩვენი მოთხოვნილებანი თავზე გადმოგვახია და შემდეგ პოლიციელები მოგვისია, რომ ყველა იქვე დავეკალით. ჩვენს სისხლში ხელები შეიღება, საუკეთესო ამხანაგი ანდრია ისეა დაჭრილი, რომ მორჩენის იმედი არც კი არის (ამ დროს კარები გაიღება და შემოდის ფერშალი. ყველა იმას მიაქცევს ყურადღებას, ლასა გაჩუმდება).

**ვახტანგი** (აღელვებული წამოდგება და ფერშალს მიმართავს). რა ამბავია!

**ფერშალი**. ანდრია გარდაიცვალა! (ვახტანგი სასოწარკვეთილი ჩაჯდება და თვალებზე ხელს იფარებს, სონას სახეზე ღრმა მწუხარება ეტყობა. ოხვრა და ხვნეშა ისმის. „რა ბიჭი დავკარგეთ“ გაისმის ბევრგან).

**ლასა** (აკანკალებულის ხმით). აი ერთი მსხვერპლი თქვენი მტარვალისა. განა სიკვდილის ღირსი არ არის? მე, მე გეკითხებით: განა სიკვდილის ღირსი არ არის? ამას იქით ის თქვენ დაგზოგავსთ? („სიკვდილი, სიკვდილი მტარვალს, სიკვდილი“ იგრიალებს ყველა, ფერშალი გადის).

**სონა**. ამხანაგებო! გეთანხმებით, რომ გიორგი სიკვდილის ღირსია. ანდრიაც რომ არ მოგვკვდომოდა, ის კაცი, რომელიც ამდენათ შეურაცხყოფს მუშების საერთო მოთხოვნილებას, ის კაცი, რომელიც ასე ვერაგულათ მოექცევა მუშათა დელეგატებს, ღირსია სიკვდილისა, მაგრამ მისმა ცოლშვილმა რა დააშავა? იმათ რათ უმწარებთ დღეს? შეიბრალეთ ისინი.

**რამდენიმე ხმა**. ჩვენი ცოლშვილი ვინ შეიბრალა?

**ლასა**. ამხანაგებო! ჩვენს ცოლშვილს მთელი სიცოცხლე აქვთ გამწარებული; ბედნიერი დღე მათთვის არ არსებობს, ერთათ გემრიელი სადილიც კი არ გვეღირსება, მე ერთი ბავშვი მყავს. განა ჩემს გულში სიყვარული არ არის? განა მე ნაკლებათ მიყვარს ჩემი შვილი, ვიდრე ბურჟუებს თავისი შვილები? მე დილით იმ დროს მივდივარ ფაბრიკაში, როცა ჩემი ბავშვი ჯერ გაღვიძებული არ არის და იმ დროს მივდივარ სახლში, როცა მას უკვე ძინავს. კვირაში ერთხელ თუ შემხვდება, რომ მოვესიყვარულო, მოვეალერსო. განა თქვენ ყველანი ამგვარსავე მდგომარეობაში არა ხართ? ცოლშვილის ალერსს ჩვენ მოკლებული ვართ, ცოლშვილის ალერსით ჩვენ ვერ დავტკბებით, ისე ჩავალთ საფლავში, ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვწვალობთ და ვჯახირობთ, რომ ბურჟუები გავამდიდროთ, რომ ბურჟუებს საშუალება მივცეთ ცოლშვილში იხარონ და იბედნიერონ.

**რამდენიმე ხმა**. მართალია, მართალი.

**ვახტანგი**. ამხანაგებო, მეც ვუერთდები თქვენს გულის წყრომას; მტარვალი, ღირსია სიკვდილისა. მაგრამ ამაზე დაფიქრდით; გიორგის სიკვდილით ანდრია აღარ გაგვიცოცხლდება. ფაბრიკა კი დაიხურება და ამდენი ხალხი ულუკმა პუროთ დარჩებით. დაფიქრდით, აწონდაწონეთ და ისე გადაწყვიტეთ.

**ერთი მუშა**. ფიქრი აქ საჭირო არ არის, ანდრიას თუ ვერ გავაცოცხლებთ, გიორგის სიკვდილით სხვებს თავზარს დავსცემთ და დავუმტკიცებთ, რომ მოთმინების ფიალა აივსო და აწი აღარავის დავაჩაგვრინებთ თავს, აწი აღარავის ვაპატიებთ იმას, რასაც აქამდი ვითმენდით.

**მეორე მუშა**. ამხანაგებო! ამხანაგი ამბობს ფაბრიკა დაიკეტებაო! დაიკეტოს! ულუკმა პუროთ დარჩებიო! განა ახლა კი მაძღრები ხართ?! ჩვენ ისეც მშივრები ვართ და ლაჩარი მშივრები მაინც ნუ ვიქნებით. ჩვენ გავაგებინოთ ქვეყანას, რომ მშივრები ვართ, მარა იმისთანა

თა ყოველგვარი მოქმედება ც. კომიტეტმა სცნო მეტის მეტათ მავნებელ მოქმედებათ მუშათა მოძრაობისათვის.

არსებობს ერთი პატარა რადიკალური პარტია, რომელიც დააარსა ნაფ. ვექ. მარგულიესმა. პარტიის სიმცირეს მისი დამაარსებელი იმით ხსნის, რომ ლეგალურათ მისი არსებობა შეუძლებელია, ხოლო „იატაკ ქვეშ" მოქმედებას კი უარყოფს. ამ პარტიის გადაუწყვეტია მკაცრათ გაიმიჯნოს კადეტებისაგან და არჩევნების დროს ხმა მისცეს ნაროდნიკულ ბლოკს.

## მუშათა შორის

**დურგალთა ახალი კავშირის მგათ.** ჩემი წინა წერილის დედა აზრი იყო შემდეგი: მუშათა პროფესიონალური კავშირი უნდა იყოს წმინდა პროლეტარული; მასში ალაგი არ უნდა ქონდეს ხაზეინს, მოიჯარადრეს, ერთი სიტყვით, იმათ, ვინც დაქირავებული მუშა არ არის. ახალი დურგალთა კავშირი კი ასეთს არაფერს არ წარმოადგენს; იქ კავშირდებიან, როგორც დაქირავებული მუშები, ისე მოიჯარადრე—ხაზეინები. ეს ეწინააღმდეგება მუშათა პროფესიონალური მოძრაობის პრინციპებს. არც ერთ ქვეყანაში, სადაც-კი მუშათა მოძრაობა განვითარებულია, იმნაირი შედგენილობის კავშირი, როგორიცაა „დურგალთა ახალი კავშირი", არსად არ არსებობს. ამასთანავე ამ ახალ კავშირს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს თფილისში არსებულ სხვა პროფესიების მუშათა კავშირებთან და კავშირების ცენტრთან.

ამ ჩემ წერილს ძლიერ გაუჯავრებია ახალი კავშირის ერთი წევრი და ის პასუხს მაძლევს გაზ. „ისარში". სამწუხაროთ მისი წერილი ჩემი ბრალდების პასუხი არ არის, არამედ მისი გვერდის ახვევაა. ის ვერ უარყოფს იმ ბრალდებას, რომ მათი კავშირი უმთავრესათ მოიჯარადრეთა კავშირია. აშკარაა, ახალი კავშირის წევრები უარყოფენ პროფ. მოძრაობის ძირითად პრინციპს, მათის შეხედულობით შესაძლებელია დაქირავებული მუშის ხაზეინთან ერთათ ერთ კავშირში ყოფნა. მაშასადამე, აშკარაა ისიც, რომ მათ არ სცოდნიათ პროფ. კავშირების პირდაპირი დანიშნულება—ებრძოლონ ხაზეინებს დაქირავებული მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ჩვენ ვაძლევთ წინადადებას „ახალი კავშირის წევრს" გვიპასუხოს ზემოთ მოყვანილ ბრალდებაზე და ამ კითხვაზე: ვის წინააღმდეგ იბრძვის ეს ახალი კავშირი?

იგივე მუშა.

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტებში მოსამსახურეთა კავშირის კონფერენცია.** თფილისის მოსამსახურეთა კავშირის საბჭომ გადასწყვიტა ახლო მომავალში მოიწვიოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტებში მოსამსახურეთა კავშირის პირველი კონფერენცია. ამ საქმისათვის საბჭომ ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო როგორც კონფერენციისათვის დღიური წეს-რიგის შედგენა, აგრეთვე საარჩევნო წესების გამომუშავება.

კონფერენციისათვის დელეგატებს ამ წესით აირჩევენ: ის ბუფეტები, რომლებშიაც 5—10 კავშირის წევრი მუშაობს, ირჩევს ერთ დელეგატს, ხოლო ის ბუფეტები, სადაც ათზე მეტია კავშირის წევრი, ირჩევს ორ დელეგატს.

დღიური წეს-რიგი კონფერენციისა ასეთი იქნება:

1. კავშირის ძველი გამგეობის მოხსენება.
2. თფილისის მოსამსახ. პროფ. კავშირის კონფერენციის მოხსენება.
3. გაფიცვა—მოთხოვნები.
4. წესდება კავშირისა.
5. ცენტრი რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირისა.
6. კავკასიის მოსამსახურეთა სიეზდი.
7. ვლადიკავკაზისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება.
8. ვინ უნდა იყოს კავშირის წევრი.
9. კავშირი და არტელი.
10. უმუშევართა საკითხი.
11. კავშირის ხარჯთ-აღრიცხვა.
12. პროპაგანდა და აგიტაცია.
13. სრულიად რუსეთის პრ. კავ. სიეზდი.
14. პროცენტები.

### თფილისის მოსამსახურეთა კავშირის პირველი კონფერენცია

უკანასკნელ დროს მოსამსახურეთა კავშირს ცხოვრებამ ბევრი საჭირბოროტო კითხვები დაუყენა გადასაჭრელათ, რისთვისაც კავშირის საბჭომ მოიწვია კონფერენცია. გადამწყვეტი ხმით კონფერენციას ესწრებოდენ: კავშირის პირველ რაიონიდან 12 დელეგატი, მეორედან—4, მესამედან—4, მეოთხედან—15, მეხუთედან 3; უმუშევრებიდან 2, სულ 40 დელეგატი. სხვა და სხვა მიზეზების გამო კონფერენციას ვერ დაესწრენ დელეგატები ამიერ კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეებიდან. სათათბირო ხმით კონფერენციას ესწრებოდენ: ოჯახებში მოსამსახურეებიდან 3, ძველი საბჭოს წევრებიდან 4, კავშირების ცენტრალურ ბიუროდან 1, „ახალი ქვეყნის" რედაქციიდან 1, სულ 14. კავშირს სულ 2000-მდე წევრი ყოლია. კონფერენციის არჩევნებში მონაწილეობა მიუღია მხოლოთ 1,300.

კონფერენციის პირველი კრება სამ ენკენისთვეს შესდგა. მანდატების დამტკიცების და პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ შემდეგი დღიურ კითხვების წესრიგი მიიღო: 1) მოხსენება კავშირის მოქმედების შესახებ, 2) კავშირის ანგარიშები, 3) უმუშევართა საკითხი, 4) კავშირის წესდება, 5) ვინ უნდა იყოს კავშირის წევრი, 6) ანგარიშები რა დროს უნდა გამოდიოდეს, 7) რაიონული ავტონომია, 8) რეორგანიზაცია, 9) კავშირის ხარჯთ-აღრიცხვა, 10) ლოკაუტი, 11) მოთხოვნები და გაფიცვა, 12) ლეგალიზაცია, 13) ოჯახებში მოსამსახურეთა საკითხი, 14) სეზონში მომუშავეთა საკითხი, 15) ადგილების შეცვლა, 16) დასვენება, 17) პროპაგანდა-აგიტაცია, 18) . . . . . 19) კავკასიის მოსამსახურეთა სიეზდი, 20) სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების სიეზდი, 21) დამოკიდებულება პროვინციალურ მოსამსახურეთა კავშირებთან 22) მოწოდება მოსამსახურეთა მიმართ.

ამის შემდეგ გადაწყდა: პროფესიონალურ მოძრაობის მცოდნე პირებიდან მოიწვიონ სათათბირო ხმით ხუთი კაცი; ძველ საბჭოს წევრებს უფლება მიეცეთ დაესწრონ კრებებს სათათბირო ხმით; მოწვეულ იქნას პროგრესიულ გაზეთების კორესპონდენტები. ძველ საბჭოს დაევალა კავშირის მოქმედების შესახებ შემდეგ კრებაზე მოხსენება გააკეთოს. კონფერენციის პირველი კრება ამით გათავდა. მეორე კრებაზე საბჭოს მონდობილობით ა—მა კავშირის მოქმედების შესახებ გააკეთა მოხსენება:

„მოსამსახურეებში მოძრაობა 1903 წლის გაზაფხულიდან იწყება. ამ დროს მხოლოთ რესტორან-ბუფეტების და სასტუმროების მოსამსახურეები შეერთდენ, მოთხოვნები შეიმუშავეს და ხაზეინებს წარუდგინეს. როცა ხაზეინებმა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი გამოაცხადეს, მაშინ მოსამსახურეები გაიფიცენ. გაფიცვა რამოდენიმეთ მოსამსახურეების სასარგებლოთ გათავდა. 1904 წელს მოსამსახურეებში გადაწყდა იმოქმედონ ადგილობრივ სოც.-დემოკრატ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია მართლაც გზავნის მოსამსახურეებში პროპაგანდისტებს. 1905 წელს თფილისის მოსამსახურეები იერთებენ ოჯახების და ამიერ კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეებს. ამავე წლის გაზაფხულს მოსამსახურეები სოც.-დემ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით საერთო გაფიცვას ახდენენ. გაფიცვა მოსამსახურეების სრული გამარჯვებით გათავდა. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ რესტორან-ბუფეტების, სასტუმროების, სარდაფების, სირაჯების, ტრაქტირების და ოჯახების ყველა მოსამსახურეების მიტინგი იმართება, სადაც გადაწყდა ზემო ჩამოთვლილ დარგის ყველა მოსამსახურეები შეერთდენ ერთ დიდ და მძლავრ პროფესიონალურ კავშირში. მიტინგზე ირჩევენ ორმოცი კაცისაგან შემდგარ კავშირის საბჭოს, რომელიც თავის წევრებ შორის კავშირის ყოველდღიურ საქმეების გასაძღოლათ ირჩევს ბიუროს. ბიურო აგროვებს ფულს, მართავს კლუბს და სხვა. ამ დროს დგება რეაქცია. საბჭო იშლება. ორმოცი კაციდან მხოლოდ რამოდენიმე რჩება, რომელნიც დაწყებულ საქმეს ხელს არ უშვებენ და კოოპტაციის საშუალებით დროებით საბჭოს ადგენენ. კავშირის წევრები ანგარიშის გამოცემას მოითხოვენ, მარა ამას დროებითი საბჭო ვერ ახერხებს, რადგან საბჭოს უმრავლესობა რეაქციის დროს სოფლებში თუ სხვა ქალაქებში წავიდნენ და ფულის მოსაგროვებელი ჩეკები თან გაიყოლიეს. დროებით საბჭოს ენერგიული მოქმედებით კავშირი ისევ ფეხზე დგება. 1906 წ. მაისში საბჭო იწვევს ხელმძღვანელს, რომელიც აწყობს ძირითად ორგანიზაციებს, ამაგრებს კავშირს. ამ დროს საბჭო ტრაქტირების, სარდაფების და სირაჯების მოსამსახურეებს მოთხოვნებს იმუშავებს და ხაზეინებს უდგენს. ხაზეინები მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარს აცხადებენ. მაშინ საბჭო აცხადებს გაფიცვას, უშვებს ფურცლებს, რომელშიაც მოუწოდებს ამხანაგებს მედგრათ დაიცვან მოთხოვნები. შვიდი დღის გაფიცვა მოსამსახურების სრული გამარჯვებით თავდება. საბჭოს ენერგიული მუშაობა, მოსამსახურეების გაფიცვის გამარჯვება სხვა ხელობის მუშების ყურადღებას იპყრობს, ლიმონათის ქარხნის მუშები მოსამსახურეთა კავშირის საბჭოსაგან კავშირის შედგენისათვის ხელმძღვანელობას თხოულობენ. საბჭო გზავნის ხელმძღვანელს. ლიმონათის ქარხნის მუშები მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს ხელმძღვანელობით კავშირს ადგენენ, მოთხოვნებს იმუშავებენ, ხაზეინებს უდგენენ და იფიცებიან. გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით თავდება. აგრეთვე საბჭო აწყობს თორნის პურის მცხობელ მუშების კავშირს, რომელიც იმუშავებს მოთხოვნებს, აცხადებს გაფიცვას. აქაც გაფიცვა მუშების გამარჯვებით თავდება. ყველა ამაებს კავშირი უსასყიდლოთ ეწევა.

აპალონ ჩამწარდაძე.

(გაგრძელება იქნება).

## პროვინცია

**ქვემო სვანეთი.** ამ დღეებში თავისავე ეზოში მოკლეს თავ. ქელიშბეგ გარდაფხაძე. მკითხველებმა უწყიან, რომ თავ. გარდაფხაძეები გლეხთა მოძრაობას თავიდანვე მთელის ძალღონით შეეტაკენ, არ გააჭაჭანეს მათ მხარეში თავისუფალი მოაზრე, ჭეშმარიტების მოამბე და ვინც ქვემო სვანეთში შევიდა და თავი სასიკვდილოთ დასდვა,—ზოგი სიცოცხლეს გამოასალმეს, ზოგიც ვალახულ-შეურაცყოფილი გამოისტუმრეს. ამ რეაქციონერთა შორის დიდ როლს თამაშობდა განსვენებული ქელიშბეგი, და აი, სწორეთ ეს გარემოებანი გვიმტკიცებენ, რომ მკვლელობა რომელიმე გარდაფხაძისა ტანჯულ-შეურაცყოფილის მოთმინებიდან გამოსვლის ნაყოფია.

ამგვარათ, გარდაფხაძეებმა [illegible] ლეს დღევანდელი რეაქციის [illegible] სუფალი თარეშით სიცოცხლე გაუმწარეს ადგილობრივ გლეხ-კაცობას. ამიტომ არც გვიკვირს, თუ ქართული ანდაზისა არ იყოს, „რაც დასთესეს ის მოიმკეს".

Le-bani

## სასამართლოს ქრონიკა

როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, 29 სექტემბერს 1907 წ. თფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილებას გაუსამართლებია 28 სექტემბერს 1906 წელს დაპატიმრებული სამი კაცი: ალექსანდრე მატინოვი (ოთხ-თვალა), მიხეილ ჟღენტი და ალექსი ბუსურაშვილი. მათ ბრალდებოდათ 1906 წ. ივლისის 27 დღეს, სოფ. მუკუზანში პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა და განზრახვა იარაღი ესვრათ მათთვის. სასამართლომ ხანგრძლივ სხდომაზე გაამართლა სამივე ბრალდებულნი, ამნაირი დადგენილების მიუხედავათ, გენერალ გუბერნატორს არ გაუნთავისუფლებია ერთი მათგანი—ალექსანდრე მატინოვი და ვიატკის გუბერნიაში გადუსახლებიათ.

— გუშინ, 6 ოქტომბერს თფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის ვასილ დიჩენკოსი, 18 წლის. მას ბრალდებოდა სხვა და სხვა არალეგალური ფურცლების გადაგზავნა. როგორც მაგ. ფურცლები გლეხებთან, ჯარის-კაცებთან, ოფიცრებთან და სხ. ფურცლების შინაარსში გატარებული ყოფილა ის აზრი, რომ უმთავრესი ძალა ახლა ჯარის კაცებზე არის დამყარებული. დიჩენკომ ვექილის მხრით დაცვაზე უარი განაცხადა. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო დიჩენკო და მიუსაჯა 8 თვით ციხეში ჯდომა.

— როგორც წინათაც გვქონდა მოხსენებული 6 ოქტომბერს დაიწყო საქმის გარჩევა ტფილ. ს.-დ. კომიტეტთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციის წევრებისა, რიცხვით 12 კაცის. ნაფ. ვექილის გრუზენბერგის წინადადება—საქმის გარჩევა სწარმოებდეს ახდილათ, პროკურორმა არ შეიწყნარა; ამნაირათ საქმე სწარმოებს დახურულ კარებში.

## რუსეთის ამბები

**გაპონს ეძებენ.** პრესაში ამ ბოლო დროს კვლავ წერა დაიწყეს გაპონზე, ამტკიცებენ—გაპონი ცოცხალია და სადღაც საზღვარ-გარეთ იმალებაო. მაგრამ გაზ. „უტრო"-ს ხელში ქონია ისეთი დოკუმენტი, რომელიც შეურყევლათ ამტკიცებს, რომ გაპონი სიკვდილით დასჯილ იქნა პეტერბურგის მახლობლათ

---

მშივრები, რომლებიც შეურაცყოფას არავის აპატიებენ და ამხანაგის სისხლს არავის შეარჩენენ. ჩვენ ვაუწყოთ ქვეყანას, რომ შიმშილით სიკვდილს ვამჯობინებთ და ჩვენის სინიდისით ვაჭრობას არ დავიწყებთ. სინიდისი ითხოვს შურის ძიებას, მაშ ნუ გვეშინია შიმშილის; ანდრია ჩვენთვის მოკვდა; მას სიკვდილის არ შეეშინდა ჩვენი გულისათვის და სირცხვილით სადა გამოვყოთ თავი, რომ მისი გულისათვის შიმშილს შევუშინდეთ?! („არ შეუშინდებით, არა, სიკვდილი მტარვალს" ხმები ისმის).

**ვახტანგი.** ამხანაგებო! უკანასკნელათ გირჩევთ დაფიქრდეთ, გონიერებას დაეკითხოთ!

**ყველა ერთათ.** აქ მეტი ფიქრი საჭირო არ არის, ჩვენი ამხანაგის მკვლელი ჩვენი ხელით უნდა მოკვდეს. (ბევრი აღელვებული აქეთ იქით დადის).

**ვახტანგი.** (მოწყენილი) მაშ სამართლიანობა მოითხოვს, რომ კენჭი ვუყაროთ, ვისაც შეხვდება მან იკისროს მტარვლის მტარვლობა (ვუყაროთ კენჭი, ვუყაროთ, ისმის ხმები. რამოდენიმე ხანს სიჩუმეა).

**ერთი მუშა.** რას ამბობთ ამხანაგებო! ამგვარ საქმეში კენჭის ყრა გაგიგონიათ! იქნება კენჭი იმისთანას შეხვდეს, რომელსაც გულადობა სრულებითაც არ შესწევს, რომ ამისთანა საქმე შეასრულოს? („მართალს ამბობს", ისმის ხმები).

**ვახტანგი.** (გულმოსული) სიტყვით ყველა გულადები ხართ, როცა ჯერი საქმეზე მიდგება, მაშინ ყველანი უკან იხევით. აკი ყველა იძახდით, უნდა მოკვდესო; მაშ ყველას უნდა შეეძლოს თქვენი სიტყვის ასრულება კენჭი მოიტათ და ვისაც შეხვდება იმან უნდა დაგვიმტკიცოს საქმით, გმირია ის თუ ლაჩარი. (ყოყმანია, ტრიალი, ერთი მუშა ქაღალდს სთხოვს სონას, მას მოაქვს, ხევენ ქაღალდს და ქუდში ყრიან).

**ვახტანგი.** უნდა დავთვალოთ, რამდენი კაცი ვართ აქ და იმდენი პატარა ქაღალდი უნდა ჩავყაროთ ქუდში. ერთი ქაღალდზე დააწერეთ „სიკვდილი" დანარჩენი დაუწერელი იქნება. ვისაც ეს დაწერილი ქაღალდი შეხვდება, იმან უნდა იკისროს გიორგის მოკვლა.

**დასა.** ამხანაგებო! ის აკოლოტოჩნი, რომელმაც გიორგის ბილწი განზრახვა შეასრულა ღირსია თუ არა სიკვდილისა? (ღირსია, ღირსი იგრიალებს ყველა ერთხმათ) მაშ ორ ქაღალდზე უნდა დააწეროთ, ვისაც პირველათ შეხვდება, იმან გიორგი უნდა ჩააძაღლოს, ვისაც მეორეთ, იმან აკოლოტოჩნი. (ერთი თვლის ამხანაგებს, შემდეგ აწერენ ორ ქაღალდზე, დაასორსალებენ ქაღალდებს, ჩაყრიან ქუდში. ქუდიანი შუაზე გამოვა, სხვები გარშემო დადგებიან და შეიქნება ქაღალდების ამოღება რიგ რიგათ. შლიან ქაღალდს და იძახიან: „ცარიელია, ცარიელია. მოდის ქაღალდის ამოსაღებათ ვახტანგიც, სონა ჯერ გაოცებული მიჩერებია, როცა ვახტანგი ქუდთან მივა, შეშინებულივით მიაყვირებს).

**სონა.** ვახტანგ! „ჯერ მე და შენს შვილს ყელი გამოგვჭერი (მიიწევს ვახტანგისკენ და ხელში ხელს სტაცებს ვახტანგი ხელს გამოსტაცებს).

**დასა.** მე პირველი წინააღმდეგი ვარ, რომ ვახტანგმა კენჭი ამოიღოს.

**ვახტანგი** (თითქმის ყვირილით). თუ კენჭს არ ამომაღებინებთ, სამუდამოთ უარს ვაცხადებ თქვენს წრეში დარჩენისას. აქ უნცროს-უფროსობა მე არა მწამს, ყველანი სწორნი ვართ და მე არ მინდა ვისარგებლო რაღაც პრივილეგიებით (მიდის, ამოიღებს ქაღალდებს, ხმამაღლა წაიკითხავს: „სიკვდილი", გამოტრიალდება. სრული სიჩუმეა. სონა დაიკივლებს და დაეცემა, ვახტანგი წამოაყენებს სონას, სხვები სონას შემოეხვევიან, ვახტანგი დივანზე დააწვენს და გულს უხსნის).

**ვახტანგი.** წყალი, წყალი, ჩქარა წყალი მომიტანეთ. (იმ დროს როცა სონა იკივლებს და დაეცემა, მეორე ოთახში ბავშვის საშინელი წივილი გაისმის და როცა წყლისათვის სხვები კარებში გავარდებიან, შემოვარდება პეპელა ტირილით და „დედა-დედა"-ს ძახილით; მივარდება დედას, კივის და თან ეხვევა და კოცნის, მოიტანებენ წყალს, ვახტანგი ასხურებს სონას, სონა მობრუნდება. მუშებში ჩოჩქოლია, პეპელა დედას მოუჯდება თავთან, ვახტანგი ამხანაგებთან გამოტრიალდება.

**დასა** (ვახტანგს). ჩვენ ყველანი გთხოვთ, რომ ეს ერთი დაგვითმო, და შენ თავი დაანებო, ჩვენ მოვაწყობთ ამას ყოველივეს.

**ვახტანგი** (თავს გააქნევს). თუ პატივსა მცემთ, ნურაფერსა მთხოვთ, მე კომედიას არ ვთამაშობ, განვაგრძოთ კენჭის ყრა (ამხანაგები ერთმანეთს გადახედავენ და ეკითხებიან).

**დასა.** ახლა დრო არ არის, ჩვენ წავალთ და ჩემსას გავათავებთ ამ კენჭის ყრას (ასე ჯობია, ასე, ისმის ხმები).

**ვახტანგი.** რაღა დროს გადადებაა, სულ ხუთი წამის საქმეა, ბარემ გავათავოთ.

**ილიკო.** არა, ახლა დრო არ არის სონა მაინც უნდა შევიბრალოთ, ასე გულქვა ხომ არ ვიქნებით? ჩვენ წავალთ და ამას გავათავებთ, ხოლო შენ უნდა დაანებო თავი უსათუოთ, უნდა დაგვემორჩილო, (ვახტანგი თავს აქნევს) შენ თვითონ არ თქვი კაცო უმრავლესობის სურვილს ვემორჩილებიო? ყველა გთხოვთ.

**ვახტანგი.** მეცა გთხოვთ, რომ თავი დამანებოთ. კენჭი აქვე უნდა გათავდეს (მუშები შეჩერდებიან, ერთმანეთს მიჩერებიან).

**დასა.** (დაბალის ხმით, ჯერ სონასკენ იხედება) ამხანაგებო! ბარემ გავათავოთ (შეჯგუფდებიან და კენჭის ამოღებას განაგრძობენ. შეხვდება ერთ მუშას) აკოლოტოჩნის მოკვლა შეხვდა ამხანაგ კოტეს (მუშები წასვლას აპირებენ).

**ვახტანგი.** მოიცათ, უკანასკნელი საკითხი დარჩა ლევანის წრეში მიღების შესახებ. დავსხდეთ და გავარჩიოთ (დასხდებიან).

**დასა.** ჩვენ გენდობით შენ, ამიტომ ლევანის წინააღმდეგ არაფერი არ გვაქვს, ხოლო სანამ ის თავის ოჯახს თავს არ დაანებებს და ცალკე არ გავა, მანამდი ჩემის აზრით, წრეში ვერ მივიღებთ.

**ერთი მუშა.** მეც ამ აზრისა ვარ. თუ ჩვენთან მუშაობა უნდა, ჩვენი მტერი მისი მტერიც უნდა იყოს. მამის სახლში დარჩება, ჩვენი მტრის პური უნდა სჭამოს და ჩვენც გვემსახუროს? ჩვენ არ გვინდა ამისანა სმსახური.

**მეორე მუშა.** თუ ჩვენია, თავის მამის ოჯახს თავი დაანებოს, მაშინ მივიღებთ წრეში. ჩემი აზრი ეს არის (სიჩუმეა).

**ვახტანგი.** ყველანი ამ აზრის ხართ? („ყველანი" ისმის ხმები. „ოჯახიდან გამოვიდეს და წრეში მივიღებთ" ისმის ხმები. მუშები თანდათან იმალებიან, სახლი ცარიელდება. ვახტანგი გააცილებს კარებამდე, გამოტრიალდება. რამოდენიმე ხანს ჩაფიქრებული დგას. შემდეგ ცოლთან მივა, დახედავს, შუბლზე აკოცებს, გამოტრიალდება, შედგება, რამოდენიმე ხანს გაჩერებული დგას ჩაფიქრებული, შემდეგ ისევე გატრიალდება და სონას დაჩერებია).

**პეპელა.** (ჩუმათ) დედამ დაიძინა (ვახტანგი პეპელას ხელში აიყვანს, აქეთ წამოიყვანს, დადგება, ნიკაპზე ცალ ხელს მოკიდებს და შეაჩერდება). მამა! აგრე რათ მიყურებ? (ვახტანგი კოცნას დაუწყებს, შემდეგ ისევ შეაჩერდება) მამა, მე მეშინია შენი, შენ სხვანაირი ხარ.

**ვახტანგი.** (კოცნის) რათ გეშინია, შვილო? მე ხომ შენი მამა ვარ? შენ კიდევ ჩემი პატარა პეპელა!

**პეპელა.** (შეჩერებია გაოცებული) მამა შენ ცრემლები მოგდის, დედა გამოიღვიძებს და კარგათ იქნება (პატარა პაუზა პეპელა შეჩერებია) შენ რათ ტირი მამა? მე მეშინია.

**ვახტანგი.** ახლა დრო არის, შვილო, რომ შენ დაიძინო, დედა კარგათ იქნება (მიყავს ბავშვი მეორე ოთახში, სონა თვალებს გაახელს, წამოჯდება; აქეთ იქით გაიხედავს; შემდეგ გული ამოუჯდება და ქვითინს დაიწყებს).

ივ. გომართელი.

ფარდა.

(გაგრძელება იქნება).

ოზერკაში რევოლიუციონურ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით და რომ ყოველი ხმა მისი „აღდგომის“ შესახებ სიცრუეა.

**მოკავშირეთა ბრძოლა ეპისკოპოსთან.** „რუსკოე ზნამია“-ში დაბეჭდილია: ქ. ვლადიმირი. თითქმის ყველა იმ ადგილებიდან, სადაც კი „კავშირს“ განყოფილება აქვს, ცნობები მოდის, რომ ადგილობრივი ეპისკოპოსი კავშირის განყოფილებებს მტრულათ ეკიდება. რა საბუთი აქვს მღვდელ-მთავარს ასე მოექცეს კავშირის ბაირაღს, როგორც ეს ამ ბოლო დროს ჩაიდინა მან? თუ ბაირაღების დადგმა ეკლესიაში ეწინააღმდეგება საეკლესიო წესებს, მაშინ რატომ დადგეს ეს ამდენი ხანია ბაირაღები მოსკოვის ჩუდოვოს მონასტერში, პეტერბურგის ყაზანის ტაძარში და სხვა ადგილებში“.

**მუშათა შორის.** პროფესიონალური მოძრაობა რუსეთის ცენტრალურ რაიონის ლითონის წარმოებაში თითქმის სრულიად დაეცა. მოსკოვის კავშირში, რომელიც წინათ 6 ათას წევრს შეიცავდა, ამჟამათ ირიცხება არა უმეტეს 200 წევრისა, რომელთაც საწევრო ფული შეაქვთ. კოლომენის კავშირის 900 წევრთაგან ფულს იხდის 130 კაცი, ტულის კავშირში—750, ბრიანსკის ზავოდში—204 და სხ.. მოსკოვის კავშირის მრავალი განყოფილება სრულიად დაიშალა. ახალი კავშირები აღარ არსდება, არსებული კავშირები თითქმის არავითარ მოქმედებას არ იჩენენ. რადგან მოსკოვის ლითონის მუშათა კავშირების ამას წინათ მოწვეულ კონფერენციაზე დაესწრო დელეგატთა მცირე რიცხვი, ამის გამო ეს კონფერენცია გადაიქცა კერძო საოლქო თათბირათ, რომელმაც გადაწყვიტა ახლო მომავალში მოიწვიოს საოლქო კონფერენცია.

**დუმის სოც.-დემ. ფრაქციის საქმის** თაობაზე საბრალმდებლო ოქმში მოუძებნელათ ირიცხებიან შემდეგი 19 ს.-დ. დეპუტატი: ალექსინსკი, გეროსი, მანდელბერგი, ოზოლი, ჯუღელი, ზურაბოვი, კომარი, ქიგელიოვი, კოსმადამიანსკი, მიტროვი, ნესტეროვი, სალტიკოვი, რომანოვი, კონშინი, პიარნი, სერებრიაკოვი, შპალეკი, ტატარინოვი და იზმაილოვი. უკანასკნელი, როგორც გადმოგვცეს, აგერ ორი თვეა თფილისის მეტეხის ციხეში ზის. დაუტუსაღებიათ იგი შემთხვევით, მას სხვისი (ივანოვის) პასპორტი აღმოჩენია და მხოლოდ ამ ორიოდე კვირის წინათ გამოუმჟღავნებია თავისი ნამდვილი ვინაობა.

**„მოკავშირე“ დროშა და გლეხები.** ბესარაბიის გუბ. ორგეევის მაზრის სოფ. იგნაციეში მოკავშირეებმა მიიტანეს თავიანთი დროშა ეკლესიაში დასადგმელათ მაგრამ გლეხებმა არ მიიღეს და წინააღმდეგობა გაუწიეს. მოხდა შეტაკება, რომელშიაც ისპრავნიკი ჩაერია.

**სტოლიპინის სამძიმრის დეპეშა.** მინისტრ-პრემიერს სტოლიპინს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნია უკიდურეს რეაქციონერის, შავრაზმელთა ბელადის გრინგმუტის გარდაცვალების გამო.

## უცხოეთი

**ავსტრია.** სოც.-დემ. პარტეიტაგი. 5 ოქტომბერს (ახ. სტ.) გათავდა ავსტრიის ნემეც სოც.-დემოკრატთა პარტეიტაგი, რომელმაც გასტანა ხუთ დღეს. იმ ახალმა თვალსაჩინო ადგილმა, რომელიც ავსტრიის სოც.-დემოკრატიამ დაიჭირა პარლამენტში, წინ დაუყენა მას მთელი რიგი დიდ თეორეტიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობის კითხვები: პარტიული ორგანიზაციის, საპარლამენტო ფრაქციის მოვალეობის და სოციალურ პოლიტიკის შესახებ.

იმ ანგარიშში, რომელიც პარტეიტაგს წარუდგინეს, ერთი სიტყვითაც კი არ იყო მოხსენებული ის გარემოება, რომ სოც-დემ. ფრაქციის რამდენიმე წევრი, რეიხსტაგის სხვა დეპუტატებთან ერთათ, წავიდენ იმპერატორთან სეფე სიტყვის მოსასმენათ. პარტეიტაგის დელეგატმა ბერნტმა პროტესტი განაცხადა ასეთი „სიარულის“ წინააღმდეგ და მოაგონა ამხანაგებს 48 წლის ტრადიციები, რომლებიც ნებას არ გვაძლევს მონარქის შევურიგდეთო. ფრაქციის წარმომადგენელებმა მეფესთან სიარულის მიზან-შესაფერობა იმით დაასაბუთეს, რომ ფრაქციამ მონაწილეობა უნდა მიიღოს პარლამენტის ცხოვრების ყველა აქტებშით, არ უნდა გადგეს განზე არავითარ ისეთ შემთხვევაში, რომელსაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო; სოც.-დემოკრატები მეფესთან სიარულის შემდეგ ისევ ისინი დარჩნენ, რაც მანამდე იყვნენ—პროლეტარიატის პარტიათო. ადლერმა აღნიშნა—ფრაქცია ამ შემთხვევაში საჭიროთ არა ცნობდა დემონსტრაცია გაეკეთებია პარლამენტისა და იმპერატორის წინ და თავისი დაუსწრებლობით ერთხელ კიდევ ხაზ-გასმით აღენიშნა თავისი შეურიგებლობაო. მე არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ შახმატს (ჭანდრაკს) კარგათ გადავედითო; თქვა ადლერმა,—მაგრამ მე მგონია ჩვენ თავიდან ავიშორეთ ისეთი შეცდომა, რომელსაც შეიძლებოდა ცუდი შედეგები გამოეწვიაო. კამათიდან გამოირკვა, რომ თვით საპარლამენტო ფრაქციაში შესამჩნევი უმცირესობა წინააღმდეგი ყოფილა ამ ახალ „ჭანდრაკულ ნაბიჯის“ და სრულიად უსარგებლოთ უცვნია იგი. მაგრამ რადგან არც დიდათ მავნებლათ მიუჩნევია, დამორჩილებია უმრავლესობის აზრს. არავითარი რეზოლიუცია ამ ინციდენტის შესახებ პარტეიტაგს არ გამოუტანია.

**ახალ საორგანიზაციო წესდების** პროექტმა დიდი კამათი გამოიწვია, რადგან იგი ძალიან ცვლის ორგანიზაციის სისტემას. ეს წესდება ეტანება ერთ მთავარ მიზანს—ჩაითრიოს ორგანიზაციაში, რაც შეიძლება, ფართო მასსა პროლეტარიატისა და გაუადვილოს მას პრაქტიკული პოლიტიკური მოქმედება ცხოვრების სულ სხვა და სხვა გვარ სფეროში ადგილობრივი იაჩეიკის შექმნით. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ქალთა ორგანიზაციების გაერთიანებას, რომლებიც სულ უფრო თვალსაჩინო როლს თამაშობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეტის მეტათ საინტერესო მოხსენებას ვიქტორ ადლერისას თემათ ქონდა „სოციალ-დემოკრატიის უმახლობელესი მიზნები პარლამენტში“. დაასურათა რა ის პოზიცია, რომელიც უჭირავს სოციალდემოკრატიას, როგორც კლასობრივ პარტიას პროლეტარიატისა, ადლერი გადავიდა საპარლამენტო ფრაქციის დადებითი მუშაობაზე. ამ მუშაობას, სთქვა მან, სახეში უნდა ქონდეს პოლიტიკური და სოციალური მიზნები. მუშათა კლასი მოკლებულია მრავალ კულტურულ და ნივთიერ სიკეთეს, რომელიც ფასს უმატებს ადამიანის სიცოცხლეს. ეს სიკეთენი შეიძლება და საჭიროცაა მოპოებულ იქნას ყველა პროლეტარულ პარტიების „კარტელთან“ შედგარი ბრძოლის შემწეობით. უნდა ვისარგებლოთ ყოველი გარემოებით, რომელიც კი ხელს შეგვიწყობს ამ ბრძოლაში. ჩვეულებრივ ამბობენ, ასეთ მოქმედებას ოპორტიუნიზმისაკენ მივყევართო. „მაგრამ ნამდვილი ოპორტიუნიზმი თავისი გზით მიდის დასახულ მიზნისაკენ, ცრუ ოპორტიუნიზმი კი მიზანს უმსხვერპლებს ხელშე დროებითი პოლიტიკურ სარგებლობას“. ავსტრიის სოციალისტებსაო, განაგრძო ადლერმა, არ უნდა აფრთხობდეს „ნამდვილი ოპორტიუნიზმი, რომელიც გზას უხსნის პროლეტარიატს წინმსვლელობისა და გამარჯვების მოპოებისაკენ. ისინი უშიშრათ უნდა აწარმოებდენ „პროლეტარულ პოლიტიკას“, დაკავშირებულს დროისა და ადგილის განსაზღვრულ პირობებთან, და ამასთან არ უნდა ეპარებოდეთ ყურადღებიდან თავიანთი შორეული მიზნებიო. ადლერის სიტყვა დრმა ყურადღებით მოისმინეს და აღფრთოვანებულ მოწონებით დააჯილდოვეს.

ბინების კითხვის შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნები: დაარსებულ იქნას საგანგებო ცენტრალური სახელმწიფო ორგანო, რომელიც განაგებს ბინების საკითხს და რომელსაც თავისი განყოფილებანი ექნება კომუნებში, სადაც იგი იმუშავებს შეკავშირებულ მუშათა წარმომადგენლების დახმარებით; მოწყობილ იქნას განსაზღვრულ გეგმით მიწების შეძენა კომუნალურ საკუთრებათ; დაწესებულ იქნას გადასახადი „დაუმსახურებელ“ საადგილ-მამულო რენტაზე (შემოსავალი), გაფართოებულ იქნას კერძო საკუთრების ჩამორთმევის უფლება კომუნის სასარგებლოთ. რეზოლიუცია წინადადებას აძლევს პარტიის წევრებს „ყოველი ღონით ებრძოლონ უბინობისაგან გამოწვეულ გაჭირვებას და სიღატაკეს“. რეზ. ერთხმათ იქნა მიღებული.

მოხსენებას ლანტაგებზე და კომუნალურ თვითმართველობაზე საყოველთაო საარჩევნო უფლების გავრცელების შესახებ არ გამოუწვევია კამათი. ამ საგანზე მიღებული რეზოლიუცია წინადადებას აძლევს სოც.-დემ. საპარლამენტო ფრაქციას იბრძოლოს პარლამენტში ასეთი გაფართოებისათვის, ხოლო მთელ პარტიას კი მოვალეობათ ეკისრება—იბრძოლოს პოლიტიკურ უფლება-თანასწორობისათვის პარლამენტის გარეთ.

უკანასკნელი კითხვა, რომელიც შეეხება არსებით ინტერესებს არა მარტო პროლეტარიატისას, არამედ მთელ ღარიბ ხალხისას, იყო კითხვა „საცხოვრებელ საგნების გაძვირების“ შესახებ. მომხსენებელმა კარპელესმა კრიტიკის ქარცეცხში გაატარა საზოგადოების დღევანდელი ეკონომიური ორგანიზაცია, რომელიც იწვევს პირველ საჭიროების საგნებზე ფასების სწრაფ მომატებას და ამავე დროს ძალიან დინჯათ შეაქვს ცვლილება იმ საგნების რაოდენობაში, რომელიც აბადია ხალხს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მთავარ როლს აქ თამაშობენ აგრარიები (მემამულენი), რომლების ინტერესთა დაცვა მეტათ ძვირათ ჯდება. პარტეიტაგის მიერ მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს—გადავიდეს ქვა-ნახშირის წარმოების საქმე სახელმწიფოს ხელში, მოისპოს ახალი ბაჟი რკინაზე, ენერგიული ბრძოლა იქნეს გაწეული აგრარიების და სამრეწველო კაპიტალისტების სინდის-კვეთების წინააღმდეგ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რეზოლიუცია მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსებას და თვითეულ წევრს პარტიისას მოვალეობათ უსახავს წევრათ შევიდეს ასეთ საზოგადოებაში, შემდეგ ყურადღება მიქცეულია „სამეურნეო ამხანაგობათა ზრდაზე, რომლებთანაც პირდაპირი ურთიერთობა უნდა იყოს დაჭერილი, რომ ამ სახით თავიდან აშორებულ იქნას ჩარჩების შუამდგომლობა საცხოვრებელ საგნების მოპოების საქმეში.

ამ რეზოლიუციის მიღებით გათავდა პარტეიტაგის სხდომები. თავმჯდომარე პერნესტორფერმა გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოსთქვა და ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ ავსტრიის სოციალდემოკრატია მიუხედავათ მისი თავისებურობისა, სოციალდემოკრატიათ რჩება ამ სიტყვის რევოლიუციონური აზრით, ე. ი. უარყოფს თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებასო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

„ახალ ქვეყნის“ მე-14 №-ში ბ. გირგოლაძე ენფიაჯიანცის მუშების კომისიას ბრალსა სდებს, რომ იმან (კომისიამ) დასთმო ის უფლებები, რომელიც მუშებს ქონდათ ბრძოლით მოპოებული. ამის მაგალითათ ასახელებს იმ ვითომ ფაქტს, თითქო მუშები არ იღებდენ ნახევარ დღის ჯამაგირს ავადმყოფობის დროს. ვის არ მიუღია ნახევარ დღის ჯამაგირი ან როდის ეს ალლახმა უწყის. ამას გარდა გ. ამბობს, ვითომ რომელიღაც წევრი კომისიისა ხაზეინს დაესაჩუქრებინოს და ამით მოეხერხებინოს მისი თავის მხარეზე გადაყვანა. მოყავს ბევრი სხვა ბრალდებაც, რომელსაც ჩვენ აქ არ გამოუდგებით. მხოლოდ ჩვენ ვკითხებით ბ, გ—ს: რა სურდა, როცა ამ წეროლს წერდა? თუ იმ მიზნით წერდა, რომ მუშებს ბრუდე გზას ავაცდენ და სწორე გზაზე დავაყენებო, ჩვენ გავკადნიერდებით და ვეტყვით ბ. გ—ს, რომ სასტიკათ მოტყუებულა ვინაიდან ფაბრიკაში ისედაც არეული საქმე უფრო აგვირია, და ბეგნების მაგიერათ დემორალიზაცია შემოიტანა მასსაში, მასსა თხოულობს გ—ისაგან დაამტკიცოს ფაქტებით თავისი ბრალდებანი და მასთან ჩვენ (ე. ი. კომისიის წევრებიც) ვიწვევთ მას სამედიატორო სასამართლოში, და იქ დაგვიმტკიცოს თავის ბრალდებათა საფუძვლიანობა. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს გაზეთებში. ვუცდით პასუხს.

ენფიაჯიანცის ქარხნის მუშათა მონდობილობით პეტრო.

### სამედიატორო სასამართ. განაჩენი.

სამედიატორო სასამართლო, რომელიც იყო დანიშნული ერთი მხრით ხაზეინების—ანდრია ფარასტაშვილისა და აკოფ აგანეზოვისაგან და მეორეს მხრით მუშის მანუქასაგან, გათავდა შემდეგი განაჩენით:

ვიღებთ რა მხედველობაში, 1) რომ ხაზეინებს იმ თავითვე ეტყობოდათ მანუქას დათხოვნის სურვილი, 2) რომ ფორმალურათაც მათ თავიანთი სიმართლე ვერ დაგვიმტკიცეს და იძლეოდენ ერთმანეთის წინააღმდეგ ჩვენებას, 3) რომ პირველათ საქმის გარჩევის დროს ხაზეინებმა განაცხადეს მანუქას „ოტპუსკი“ ქონდა მიცემული, მაგრამ დაიგვიანა და იმიტომ დავითხოვეთო, მხოლოდ შემდეგ კი უარყვეს ეს ჩვენება, 4) რომ მუშა მანუქა სამუდამოთ არ დასტოვებდა თავის ადგილს—ჩვენ ვცნობთ მანუქას უდანაშაულოთ და წინადადებას ვაძლევთ ხაზეინებს მიიღონ თავის ადგილზე, ან ძველ ქარხანაში მიაღებინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მისცენ სამი თვის და ისე გაუშვან.

თავმჯდ. გ. გოგლიძე.

მედიატ.: გიორგი გ.
ვანო დურგლიშვილი.
გიორგი სოხაძე.
პეტრე თედაევი.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

6 ოქტომბერი

**ვარშავა.** სადგურ მალკინზე აღარ აღმოჩნდა შეპეტოვიდან ვარშავაში მიმავალი გრაფ ადამ სამოისკის მეუღლე. ნივთები ხელ-უხლებლათ არის დატოვებული. რკინის გზის ლიანდაგზე ქალის გვამი არ აღმოჩნდა.

**მოსკოვი.** 17 ოქტომბრის პარტიის ცენტრალურმა საბჭომ უარყო კადეტებთან კავშირი.

**კიევი.** სად. ტაშლიკზე გაძარცვეს სადგურის უფროსის სადგომი, წაიღეს 1351 მანეთი.

**სამარა.** სად. ბეზენჩეკის მახლობლათ ხუთი შეიარაღებული კაცი ფოსტას დაეცა. ფოსტალიონი დასჭრეს. იამშჩიკი შეკრეს, გაიტაცეს 30,394 მანეთი და მიიმალენ.

**უმანი.** სამხედრო სამართალში მისცეს სოფ. ლადიჟენსკაში მომხდარი არეულობის მონაწილენი. ბრალდებულთა შორის ურევია ყოფილი დეპუტატი კუჩსენკო.

### ხოლერა

**კრასნოიარსკი.** ხოლერით ავათ გახდა 5 კაცი.

**ტობოლსკი.** დღევანდლამდე ხოლერით ავათ გახდა 67 კაცი, მოკვდა 28.

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევსკში ხოლერით ავათ გახდა 21. მოკვდა 14, ბარნაულში ავათ გახდა 2, მოკვდა 1, ბიისკის მაზრაში ავათ გახდა 12, მოკვდა 2.

**პენზა.** ხოლერით ავათ გახდა 5 კაცი.

**კიევი.** ავათ გახდა 79 კაცი, მოკვდა 27, მორჩა 20, ავათმყოფთა შორის 3 ჯარის კაცი, 3 ტუსაღი.

### უცხოეთი

**თეირანი.** კერმანის გუბერნატორი გუსარეტ-ედ-დოულე იუწყება, რომ მან მოიგერია და უკუ აქცია ქალაქზე მორეული ბრბო. პროვინციალურ საბჭოებში არჩევნების დროს არეულობა მოხდა. დაეცენ სახელმწიფო ბანკსაც.

**გააგა.** ხუთ ოქტომბერს დაიხურება სამშვიდობო კონფერენცია.

**დუნბარი.** დანიის გემი „ალფრედ ღერბანცენ“ კლდეს დაეჯახა და დაიმტვრა, ამბობენ ყველა მგზავრები, რიცხვით 20 კაცი დაიღუპნენო.

**ვენეცია.** გამუდმებული წვიმებისაგან ძლიერ ადიდდა მდინარე ადიჟე, ბრენტა და პიავე. გამოჩნდა მრავალი მეწყერი. ზოგიერთი სოფლები წყალში არიან. წვიმა კიდევ მოდის.

**მილანი.** ხშირი წვიმებისაგან მდინარე ლაგო-მადჯიოსემ ნაპირებზე გადმოიარა და ქალაქის რამოდენიმე უბანი თითქმის წყალში იმყოფება.

**ლონდონი.** შავგულსა და ჩრდილოეთ ინგლისში საშინელი წყალდიდობაა. ბევრი სახლები დაინგრა, ბევრი საქონლები დაიხრჩვა; ზარალი ძლიერ დიდია.

**სეული.** იაპონიის მემკვიდრეს კორეის იმპერატორმა საუზმე გაუმართა. კორეის პრინცი მიემგზავრება სასწავლათ იაპონიაში.

რედაქტორ-გამომცემელი

**იოსებ ზ. გიორგობიანი**

## მატარებლის მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—თფილისისა)

**თფილისიდან მიდის**

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.)

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 2) მამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.)

**თფილისში მოდის**

**ბაქოდგან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.) 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.)

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 3) სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.)

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.) 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 4 ს. (5 ს. 58 წ); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 5 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ)

## განცხადებანი

**„გუტემბერგის“**
**წიგნის მაღაზიაში, თფილისი, შტაბის ქუჩა, № 2.**

მიღებულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე, აგრეთვე სხვადასხვა წიგნები მოზრდილთა და ბავშვებისათვის. წიგნები იგზავნება ფას-დადებით. „ზაკაზები“ სრულდება დაუყონებლივ და წესიერათ. თუ „ზაკაზი“ გადაცილდა 3 მან. იმ შემთხვევაში საჭიროა ბე. (3—ფ.—1)

**ახალი სამოსახლოები**

## იყიდება

ვერაზედ „სალხინოსა“ და მალაკნების უბან შუა, მაკაროვების ადგილებში. ძვირფასი ადგილებია და საუკეთესო სამოსახლოები საბურთალოზედ, სამხედრო სოშეს გზის პირზე, მუშტაიდის პირდაპირ მტკვარს გაღმა. სამოსახლოები ასიდან ას ოც ოთხ-კუთხედ საჟენამდეა, ფულის შეტანა თვე და თვეა, ექვსი თვის განმავლობაში, 1 სექტემბრიდან, ფულის შემოტანის შემდეგ დაუმტკიცდებათ ადგილები. ვისაც ნებავს, შეუძლიათ მოიკითხოს „ახალშენი“-ს კანტორაში სევასტი გაჩეჩილაძეს, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში და ვერის დაღმართზე იქ, სადაც უწინ იყო ქალაქის საყასბო და დღეს იყიდება ალექსანდრე გაბაევის ადგილები—ბაგრატ თოროზოვს. ფასებსაც იქ გაიგებენ.

**გამგენი:** სევასტი მიხ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თოროზოვი და ისაკ ბახტაძე (10—ფ.—7)

## კლინიკა

კბილის ავათმყოფობისა

## ლ. შტრეიხერისა

**კბილის ხაექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).

ავათმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოთ . 20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება 20 „
კბილის გაწმენდა . . 50 „
არის უფრო ძვირიც:
პლომბა გუდაპერჩისა . . 50 „
„ „ ცემენტისა . 1 მ.
„ „ მეტალიური . 1 „
„ ვერცხლისა ამალგმა 1 „ 50 „
„ „ ემალისა . 1 „ 50 „
„ „ ფაიფურისა . 3 „ 50 „
არის უფრო ძვირიც 5 მანეთამდე:
„ „ წმინდა ოქროსი . 3 „
უფრო ძვირიც.
ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი:
„ „ დიოტორიტიული 1 „
„ „ კრამპონისა . . 1 50 „
ხელოვნ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით:
„ „ თითო კავი 1 „

**„ЧАХОТКА ИЗЛЕЧИМА“!**

Новое изданіе С.-Петербургскаго „Медицинскаго Указателя“, **Поразительные случаи излеченія въ начал. стадіи безъ рецидивовъ.** Многочисленные случаи поправленія даже при легочныхъ кавернахъ (крово-харканье); масса сочувственныхъ отзывовъ врачей. Брошюра высылается только за 70 коп, почтов. марками. Наложен, платежомъ не высылается. Адрресовать: **С,-Петербургъ,** въ кантору «Медицинскій Указатель». 3—2

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სთრაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

1870. 1882.

1865 **ამხანაგობა** 1896.

# რუსეთ-ამერიკის რეზინის ნაწარმოებთა

## ს.-პეტერბურგში

ამზადებს:

რეზინის გალოშებს.
თასმებს ჩარხის დასატრიალებელს რეზინისას.
მილებს წყლის მფრქვეველს ცეცხლის საქრობად.
მილებს კანაფისას რეზინაში ამოვლებულს.
მილებს ლუდისა და სპირტის გადასალებად.
მილებს ნავთის გადასალებად.
ორთქლ-გამტარებელ და ტენდერის მილებს.
მილებს სტეარინის ჩამოსაშვებად.
მილებს რეზინისას, უპრაკლადკოთ.
ფირფიტებს რეზინისას პრაკლადკებისათვის.
კლაპანებს ნასოსებისათვის.
რგოლებს და ჩარჩოებს პროკლადკებისათვის.
რგოლებს წყლის მზომავ შუშებისათვის.
ბაწრებს მოქნილს პრაკლადკებისათვის.

ფირფიტებს და სხვა საგნებს გუტაპერჩიდან.
ასბესტის ბაწრებს და ფირფიტებს.
რეზინის იატაკზე საფენებს და ხალიჩებს.
რეზინის ბუფერებს (რესსორებს) პოვოზკებისათვის.
რეზინის ტანსაცმელებს და წყალ-გაუვალ ქსოვილებს.
ქირურგიულ საგნებს.
სათამაშოებს და სხვა და სხვა საგნებს.
ღრუბლებს რეზინისას.
საურებს ვალების გადასაფარებლად.
დეკელის თასმებს ქაღალდის ქარხანებისათვის.
ბილიარდის ბორტებს.
ონკანებს და სხვა და სხვა საგნებს რქის რეზინის და ებონიტისას.

**თვლებზე გადასაკრავ რეზინას ეტლებისათვის——პნევმატიკებს ავტომობილებისათვის**

ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოთ ქარხნის დამღას—სამკუთხედს, რომელიც საგნის ფორმის მიხედვით ყველა ნაწარმოებზე გამოსახულია ამ რიგად:

1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

---

რუსეთ-ამერიკის რეზინის ნაწარმოებთა ქარხანა რეზინის წარმოების პირველი და უდიდესი ქარხანაა მთელს რუსეთში და

**სრულიად რუსეთის და ყველა სხვა ქვეყნების გამოფენებზე მიიღო**

## უმაღლესი ჯილდოები,

მათ შორის

# __ოთხჯერ__ სახელმწიფო გერბი,

და უკანასკნელ მსოფლიო გამოფენაზე პარიზში 1900 წ.

## უმაღლესი ჯილდო „GRAND-PRIX“

მიეცა **მხოლოდ** ჩვენს ამხანაგობას რეზინის წარმოების რუსეთის ქარხნების იმ რიცხვში, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ გამოფენაზე.

---

უმაღლესი ჯილდო
„GRAND-PRIX“
პარიჟი 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


1882 г.


1896 г.


1870 г.


1865 г.

# გალოშები
## რუსეთ-ამერიკის
### რეზინის ნაწარმოებთა ამხანაგობისა

ნამდვილს
უეჭველად ეს დამღა
უნდა ჰქონდეს.

1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

## ქარხანა ს.-პეტერბურგში

**არსებობს 1860 წლიდან.**

მუშაობს 7000 კაცი

**წარმოება:**

დღეში 55,000 წყვილი გალოში
წელიწადში 15,000,000 წყვილი გალოში

## უმაღლესი ჯილდო ყველა გამოფენაზე

სრული პასუხისმგებლობა ნაწარმოების კარგ ღირსებისათვის